

სკოპინგის დასკვნა N54

დაგეგმილი საქმიანობის დასახელება: სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია;

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი: შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალს“ (ს/კ: 405545147);

დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი: საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, სოფ. ხაშში;

განაცხადის შემოსვლის თარიღი: 01.08.2024;

მონაცემები სკოპინგის ანგარიშის შემდგენლის შესახებ: შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალს“.

ძირითადი საპროექტო მონაცემები:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ მიერ, წარმოდგენილია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაშში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიში.

2023 წლის 15 დეკემბერს შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №725/ს), რომლის საფუძველზე საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ხაშში, 30 000 მ² ფართობის მქონე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 55.15.59.000.006). აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია 160 მეტრით, მდ. იორი - 90 მეტრით, ჩოლოყაშვილების სასახლის კომპლექსი და ეკლესია - 120 მეტრით. დაახლოებით 390 მეტრში მდებარეობს შპს „ბორან კონსტრაქშენის“ ინერტული მასალების გადამამუშავებელი საწარმო. წარმოდგენილი ინფორმაციის ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საწარმოს განთავსების ტერიტორიიდან უსახელო ღელე დაშორებულია 40 მ-ით, შპს „ემ ემ ბეს“ ღვინის საწარმო 130 მ-ით. საპროექტო ტერიტორიამდე მისასვლელად გამოიყენება საერთაშორისო მნიშვნელობის „თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხი ს-5“ საავტომობილო გზა.

სკოპინგის ანგარიშში მოცემულია საქმიანობის ალტერნატივების ანალიზი, მათ შორის განხილულია უმოქმედობისა (ნულოვანი) და საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობის ალტერნატივები. საწარმოს ტერიტორიის შერჩევა მოხდა გარემოსდაცვითი და ტექნიკურ-ეკონომიკური საკითხების გათვალისწინებით.

სკოპინგის ანგარიშის თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელ საწარმოში განთავსებულია 80 მ³/სთ წარმადობის „GAYRAT MAKINA“-ის მარკის სამსხვრევი დანადგარი, რომელიც 8 საათიანი სამუშაო რეჟიმისა (1000 სთ/წელ) და წელიწადში 125 სამუშაო დღის გათვალისწინებით, სველი მეთოდით გადამამუშავებს 80 000 მ³ ქვიშა-ხრემს, საიდანაც მიიღება 132 000 ტონა სხვადასხვა ფრაქციის პროდუქცია (ქვიშა-ლორღი). სამსხვრევე-დამახარისხებელი დანადგარი მოიცავს ბუნკერს, ლენტურ ტრანსპორტიორებს, ყბებიან სამსხვრევს, საცერს და კლასიფიკატორს. ასევე საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია, დიზელის საწვავის ავზი, ინერტული მასალის სანაყაროები, საოპერატორო და საოფისე შენობა. საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია სველი წერტილების, საწარმოო ჩამდინარე წყლების გამწმენდი სალექარის, საწვავის რეზერვუარის (5 მ³) განთავსების კონსტრუქციისა და დაღვრის აბაზანის მოწყობა.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს: საწარმოში ნედლეულის მიტანას სატვირთოებით და საწყობებში განთავსებას. ნედლეულის საწყობებიდან ნედლეულის ჩატვირთვა ხდება მიმღებ ბუნკერში, საიდანაც ნედლეული ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით მიეწოდება სამსხვრევე დანადგარს. მსხვრევის დროს წარმოქმნილი სხვადასხვა ფრაქციების პროდუქცია (ქვიშა-ლორღი) განთავსდება შესაბამის ბუნკერებში. მსხვრევის პროცესი განხორციელდება სველი მეთოდით.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოში წყლის გამოყენება მოხდება სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური დანიშნულებით. სასმელ-სამეურნეო წყლით მომარაგება გათვალისწინებულია ბუტილირებული სახით, ტექნიკური მიზნით (ქვიშა-ხრემის სველი მეთოდით გადამამუშავება) წლის განმავლობაში გამოყენებული წყლის რაოდენობა იქნება 90 000 მ³. წყალაღება გათვალისწინებულია უსახელო ხევიდან, რომელიც წარმოადგენს მდ. ივრის შენაკადს. საწარმოო პროცესში გამოყენებული წყალი გაიწმინდება სამსექციან სალექარში და ჩაშვებული იქნება მდ. იორში. სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, არსებული მდგომარეობით სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს დანადგარები მოწყობილია, აღნიშნულის შესახებ ეცნობა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (წერილი N 21/9289).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო, სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები, რომელთა მართვა განხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად. დეტალური ინფორმაცია ნარჩენების სახეობების, რაოდენობებისა და მათი მართვის შესახებ წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ანგარიშში.

სკოპინგის ანგარიშში განსაზღვრულია, დაგეგმილი საქმიანობის შედეგად გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ძირითადი სახეები, ასევე მოცემულია ზოგადი ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებული იქნება უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან აცილებისათვის, შემცირებისათვის ან/და შერბილებისათვის.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება მოსალოდნელია ინერტული მასალების მიღების, დასაწყობებისა და გადამუშავების პროცესში. საწარმოში ატმოსფერულ ჰაერში მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის სტაციონარულ წყაროებს წარმოადგენს: ხრემის/ნედლეულის საწყობი, ყბებიანი და როტორული სამსხვრევი, საცერი (ორი ერთეული), ლენტური ტრანსპორტიორები, ღორღის სანაყარო და დიზელის რეზერვუარი. ატმოსფერულ ჰაერში მაგნე ნივთიერებათა გაფრქვევის გაანგარიშებები წარმოდგენილი იქნება გზშ-ის ეტაპზე.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის წარმოქმნისა და გავრცელების სტაციონალურ წყაროს წარმოადგენს: სამსხვრევი დანადგარი, ინერტული მასალის დამტვირთი, საწარმოო ნედლეულის მიმღები და პროდუქციის გასატანი სატვირთო მანქანები. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, უახლოეს საანგარიშო წერტილში, რომელსაც წარმოადგენს ყარაბულახელ ჩოლოყაშვილთა სასახლე, ეკლესია და სასულიერო პირთა უახლოესი საცხოვრებელი სახლი, ხმაურის დონე არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დაშვებულ ნორმას.

საწარმოს ტერიტორია ანთროპოგენურად სახეცვლილია და ნიადაგის ნაყოფიერი ფენა წარმოდგენილი არ არის. საწარმოს მომიჯნავედ წარმოდგენილია ხე-მცენარეები, რომლებზეც ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. საწარმოს ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების სიახლოვეს.

სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე არ ვლინდება ხილული არქეოლოგიური ან/და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, თუმცა მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან 120 მეტრში მდებარეობს ჩოლოყაშვილების გალავანშემორტყმული სასახლე და კარის ეკლესია.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა უზრუნველყო სკოპინგის ანგარიშისა და საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის, გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსება. სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია განთავსდა ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებში, ასევე სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ვებგვერდზე და ფეისბუქ გვერდზე. ამასთან, ინფორმაცია გაეგზავნა ცენტრის გამომწერებს ელ. ფოსტის მეშვეობით. საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ ინფორმაცია, ასევე გამოქვეყნდა გაზეთში. საჯარო განხილვა გაიმართა 2024 წლის 27 აგვისტოს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სოფ. ხაშმის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში. საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და ადგილობრივი მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით გამოთქმული შენიშვნები/მოსაზრებები ეხებოდა სოციალურ-ეკონომიკურ საკითხებს, ნედლეულის მოპოვებასა და საწარმოში განსახორციელებელ მონიტორინგს. დასმულ

საკითხებთან დაკავშირებით, შესაბამისი განმარტებები გააკეთა შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ წარმომადგენელმა. საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული საკითხები და შესაბამისი განმარტებები ასახულია საჯარო განხილვის ოქმში.

ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები/მოსაზრებები არ წარმოდგენილა.

სკოპინგის პროცედურის შედეგად სააგენტოს მიერ, იდენტიფიცირდა გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ძირითადი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები. განისაზღვრა და დადგინდა ექსპლუატაციის პირობების ცვლილების შედეგად გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, ასევე გზმ-ის პროცესში დეტალურად შესასწავლი ზემოქმედებების საკითხები.

გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი:

1. გზმ-ის ანგარიში უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ ინფორმაციას;
2. გზმ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილით განსაზღვრული დოკუმენტაცია;
3. გზმ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის ანგარიშში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია, გზმ-ის პროცესში დეტალურად შესწავლილი ზემოქმედებები და შესაბამისი შემცირების/შერბილების ღონისძიებები;
4. გზმ-ის ანგარიში ხელმოწერილი უნდა იყოს იმ პირის/პირების მიერ, რომელიც/რომლებიც მონაწილეობდა/მონაწილეობდნენ მის მომზადებაში, მათ შორის, კონსულტანტის მიერ (გზმ-ის ანგარიშის მომზადების პროცესში მონაწილეთა სიაში, მითითებული უნდა იქნეს კონკრეტულად ტექსტის რომელი ნაწილი/ქვეთავი იქნა მომზადებული თითოეული ექსპერტის მიერ).

5. გზმ-ის ანგარიშში, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს:

- დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება (გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონის საფუძველზე);
- გარემოს დაცვის მიზნით შემოთავაზებული გონივრული ალტერნატიული ვარიანტების ანალიზი, შესაბამისი დასაბუთებით. მათ შორის წარმოდგენილი იქნეს უმოქმედობის (ნულოვანი), ტექნოლოგიური და ადგილმდებარეობის ალტერნატიული ვარიანტები, გარემოსდაცვითი თვალსაზრისით შერჩეული

ალტერნატივების დასაბუთების მითითებით. **საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე**, ყარაბულადელი ჩოლოყაშვილების გალავანშემორტყმულ სასახლემდე და კარის ეკლესიამდე მანძილების გათვალისწინებით;

- დაგეგმილი საქმიანობის დეტალური აღწერა, ტექნოლოგიური სქემის და ციკლის დეტალური აღწერა, შესაბამისი თანმიმდევრობით (ნედლეულის მიღებიდან, საბოლოო პროდუქტის რეალიზაციამდე);
- საქმიანობის განხორციელების ადგილის აღწერა-დახასიათება, საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდის, Shp ფაილებისა და GPS კოორდინატების მითითებით.
- საწარმოს განთავსების ადგილის გარემოს არსებული მდგომარეობის აღწერა-ანალიზი;
- საწარმოო ტერიტორიის სიტუაციური სქემა (შესაბამისი აღნიშვნებით, ფოტო მასალა) და საწარმოს გენერალური გეგმა (რომელიც უნდა იძლეოდეს საწარმოსა და მისი შემადგენელი ინფრასტრუქტურული ობიექტების აღქმის/გაანალიზების, ასევე უკვე მოწყობილი და მოსაწყობი ინფრასტრუქტურის ერთმანეთისგან გარჩევის შესაძლებლობას) შესაბამისი აღნიშვნებითა და ექსპლიკაციით, საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების, ასევე გაფრქვევისა და ხმაურის წყაროების მითითებით;
- დაზუსტებული მანძილი საწარმოს ტერიტორიიდან უახლოეს საცხოვრებელ სახლ(ებ)ამდე (მდებარეობის მითითებით), ასევე ზედაპირული წყლის და სხვა შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ ობიექტამდე;
- ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ნებისმიერი ტიპის საწარმოო, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის ანალოგიური ობიექტ(ებ)ის შესახებ (მანძილებისა და საქმიანობის პროფილის მითითებით);
- ინფორმაცია საწარმოს ფიზიკური მახასიათებლების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია წარმადობის (სთ, დღე, წელი) და სამუშაო რეჟიმის/გეგმა-გრაფიკის მითითებით. ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალური ინფორმაცია საწარმოში მიღებული ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობების შესახებ;
- ტექნოლოგიურ პროცესში გამოსაყენებელი დანადგარებისა და ტექნოლოგიური უბნების დეტალური აღწერა (არსებული და მოსაწყობი ობიექტების მითითებით), თითოეული საწარმოო ობიექტის ტექნიკური პარამეტრების მითითებით;
- დეტალური ინფორმაცია სასაწყობე ადგილების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია დასამუშავებლად მისაღები ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის დასაწყობების შესახებ;
- ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის ინფორმაცია:
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების მარშრუტების შესახებ (რუკაზე ჩვენებით, სქემატური ნახაზებით), ტრანსპორტირების გეგმა-გრაფიკის და

ნედლეულის/პროდუქციის შემოტანა-გატანის პროცედურების სიხშირის მითითებით;

- დასახლებულ პუნქტ(ებ)ში გადაადგილების შესაბამისი პირობების შესახებ, მაგ: დაბალი სიჩქარე, სამოძრაო გზის მორწყვა, ძარის გადახურვა, ღამის საათებში მოძრაობის აკრძალვა;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი ავტოტრანსპორტის შესახებ, რაოდენობის მითითებით;
 - ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირების სქემასა და გეგმა-გრაფიკთან დაკავშირებით შესაბამის მუნიციპალიტეტთან კომუნიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
 - ინფორმაცია საწარმომდე მისასვლელი გზ(ებ)ის შესახებ.
- დეტალური ინფორმაცია საწარმოს წყალმომარაგების შესახებ. მათ შორის, სასმელ-სამეურნეო და ტექნიკური/საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის რაოდენობის მითითებით;
 - დეტალური ინფორმაცია სამეურნეო-ფეკალური და საწარმოო ჩამდინარე წყლების, ასევე სანიაღვრე წყლების წარმოქმნისა და მართვის შესახებ. ასევე, დეტალური ინფორმაცია სალექარის შესახებ, ტექნოლოგიური სქემის, პარამეტრებისა და გაწმენდის ეფექტურობის მითითებით;
 - ინფორმაცია სალექარში წარმოქმნილი ღამის მართვის საკითხების შესახებ. მათ შორის დაზუსტებული ინფორმაცია: წარმოქმნილი ღამის რაოდენობის; ღამისგან სალექარის გაწმენდის პერიოდულობის, ასევე ღამის დროებითი/საბოლოო დასაწყობების ტერიტორიის შესახებ;
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიაზე გაბატონებული ქარების მიმართულების შესახებ (უახლოესი საცხოვრებელი სახლის მიმართულებით, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასებისთვის);
 - ინფორმაცია საპროექტო ტერიტორიის ფარგლებში გამწვანების ზოლის არსებობის ან/და მისი მოწყობის შესაძლებლობის შესახებ;
 - არახელსაყრელ მეტეოროლოგიურ პირობებში ობიექტის ფუნქციონირების შეზღუდვის ღონისძიებების გეგმა;
 - ინფორმაცია გზშ-ის ფარგლებში ჩატარებული საბაზისო/სადიებო კვლევებისა და გზშ-ის ანგარიშის მომზადებისთვის გამოყენებული მეთოდების შესახებ;
 - ინფორმაცია დასაქმებული ადამიანების რაოდენობის (მათ შორის დასაქმებულთა შორის ადგილობრივ მოსახლეთა წილის), პერსონალის პროფესიული და ტექნიკური სწავლების შესახებ;
 - საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში საპროექტო ტერიტორიის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის შესახებ ინფორმაცია;

6. გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება გარემოს თითოეული კომპონენტისათვის და პროექტის განხორციელების შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედების შეჯამება, მათ შორის:

- ზემოქმედების შეფასება ატმოსფერულ ჰაერზე, სადაც მოცემული უნდა იყოს:
 - ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები (გენ-გეგმაზე მითითებით), გაფრქვეული მავნე ნივთიერებები, გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი, თვისობრივი მონაცემები და გაბნევის ანგარიში (გაბატონებული ქარების მიმართულებების გათვალისწინებით);
 - დეტალური ინფორმაცია ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების პრევენციის მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებების შესახებ;
 - ატმოსფერულ ჰაერზე კუმულაციური ზემოქმედების დადგენის მიზნით, გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს ტერიტორიიდან 500 მეტრიანი რადიუსის მანძილზე არსებული ობიექტების მიერ გაფრქვეული მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მაჩვენებლები;
 - გზშ-ის ანგარიშს უნდა ახლდეს ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი;
 - ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის გეგმა;
- პროექტის ფარგლებში ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება (ხმაურის ყველა წყაროს გენ-გეგმაზე დატანით), ხმაურის გავრცელების დონეების გაანგარიშება და მოდელირება (როგორც უახლოეს საცხოვრებელ სახლთან, ასევე ჩოლოყაშვილების სასახლის კომპლექსთან), შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები და მონიტორინგის საკითხები;
- ჩამდინარე წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებისა და წყალაღების წერტილების დაზუსტებული GPS კოორდინატები;
- გზშ-ის ანგარიშს უნდა დაერთოს ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ნიადაგზე და გრუნტის ხარისხზე, შესაძლო დაბინძურების განსაზღვრა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- გეოლოგიურ და ჰიდროგეოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შესახებ ინფორმაცია, პრევენციული ღონისძიებების მითითებით;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ზედაპირულ და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- ინფორმაცია ბიოლოგიურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების შეფასება და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენებისა (კოდი, დასახელება, რაოდენობა) და მათი შემდგომი

მართვის ღონისძიებების შესახებ, რომელიც შესაბამისობაში უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

- გზმ-ის ანგარიშში დეტალურად იქნეს ასახული პროექტის განხორციელებით გამოწვეული ზემოქმედების შეფასება სოციალურ გარემოზე, ასევე განსაზღვრული უნდა იყოს ადამიანის ჯანმრთელობასთან, უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკები, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- კუმულაციური ზემოქმედების შესახებ დეტალური ინფორმაცია საწარმოს სიახლოვეს (განსაკუთრებით 500-მ რადიუსის საზღვრებში) არსებული ობიექტების გათვალისწინებით. კუმულაციური ზემოქმედების შეფასება წარმოდგენილი უნდა იქნეს გარემოს თითოეული კომპონენტისთვის;
- შესაძლო ზემოქმედების შეფასება ისტორიულ-კულტურულ და არქეოლოგიურ ძეგლებზე, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;
- მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე, ასევე ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკების შესახებ, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით. ამასთან, მოცემული უნდა იქნეს სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებების/შენიშვნების შეფასება/ანალიზი;
- გარემოზე შეუქცევი ზემოქმედების შეფასება და მისი აუცილებლობის დასაბუთება (რაც გულისხმობს გარემოზე შეუქცევი ზემოქმედებით გამოწვეული დანაკარგისა და მიღებული სარგებლის ურთიერთშეწონას გარემოსდაცვით, კულტურულ, ეკონომიკურ და სოციალურ ჭრილში);
- ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების დეტალური გეგმა;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული კონკრეტული სახის **შემარბილებელი ღონისძიებების შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი**;
- პროექტის ფარგლებში შემუშავებული **გარემოსდაცვითი მონიტორინგის შემაჯამებელი გეგმა-გრაფიკი** (საკონტროლო წერტილების, მონიტორინგის სიხშირის, მეთოდის და ა.შ მითითებით);
- გზმ-ის ფარგლებში შემუშავებული ძირითადი დასკვნები, რეკომენდაციები და საქმიანობის პროცესში განსახორციელებელი ძირითადი ღონისძიებები.

7. საკითხები/შენიშვნები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნეს გზმ-ის ანგარიშში:

- სსიპ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორია ექცევა კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის ჩოლოყაშვილების სასახლის კომპლექსის ვიზუალური დაცვის არეალში. შესაბამისად, მასზე ვრცელდება „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით ძეგლის დამცავ ზონაში მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი. კერძოდ: დამცავ ზონებში აკრძალულია ისეთი საწარმოო, სატრანსპორტო, სასაწყობო

მეურნეობისა და სხვა ობიექტების მშენებლობა, რომლებიც ხანძარსაშიშია, წარმოქმნის ძლიერ სატვირთო და სატრანსპორტო ნაკადებს, აჭუჭყიანებს ჰაერისა და წყლის აუზებს. ასევე, ვიზუალური დაცვის არეალში აკრძალულია იმგვარი მოქმედებები, რომლებიც დააზიანებს ძეგლის ისტორიულად ჩამოყალიბებულ გარემოს, ხელს შეუშლის ძეგლის ოპტიმალურ ხედვას, მის სრულფასოვან აღქმას ან შეამცირებს მის მნიშვნელობას. გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იყოს აღნიშნული კანონის მოთხოვნები, ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს ცნობით, საპროექტო ტერიტორიის კონტური კვეთს წიაღით სარგებლობის ლიცენზია N 00016 (ქვიშა-ხრეში, სს „კავკასიანტომამგისტრალი“, 03.02.2006 წ., 20 წლის ვადით) კონტურს. „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მინერალური რესურსების ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების გარეშე, ხოლო ლიცენზირებული ობიექტის შემთხვევაში – აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე. შესაბამისად, გზშ-ის ეტაპზე წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოსთვის ნედლეულის შემოტანა განხორციელდება მდ. იორის გასწვრივ არსებული ინერტული მასალების კარიერიდან. დაზუსტებას საჭიროებს აღნიშნული კარიერის ადგილმდებარეობისა და ლიცენზიის შესახებ ინფორმაცია.
- წარმოდგენილი ანგარიში არ შეიცავს ჰიდროლოგიურ ინფორმაციას უსახელო დელეს შესახებ. გზშ-ის ეტაპზე, წარმოდგენილი უნდა იყოს უსახელო დელეს ჰიდროლოგიური პარამეტრები და ჩამონადენის მახასიათებლები;
- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია დიზელის საწვავის ავზი. წარმოდგენილი უნდა იყოს ავზის მოცულობისა და ნავთობპროდუქტების დაღვრის პრევენციისთვის განსაზღვრული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიში შეიცავს ურთიერთშეუსაბამო ინფორმაციას, კერძოდ: დოკუმენტში მითითებულია, რომ საწარმოში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა იქნება 9 კაცი. ასევე, სკოპინგის ანგარიშში აღნიშნულია, რომ შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალს“-ის სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოში იგეგმება 15 კაცის დასაქმება“. აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას.
- დაზუსტებას საჭიროებს ჩანაწერი „შემუშავდება ზღვრულად დასაშვები ჩაშვების პროექტი და წარმოდგენილი იქნება სამინისტროში გზშ-ს დოკუმენტაციასთან ერთად შესათანხმებლად.“

- სკოპინგის ანგარიშის მიხედვით, საწარმოს ესაზღვრება მცირე უსახელო ხევი, ხოლო შემდგომ შპს „ემ ემ ბეს“ უმოქმედო ღვინის საწარმო. დაზუსტებას საჭიროებს საწარმოდან მათი დაშორების მანძილი, რაც ასევე შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს წარმოდგენილ სქემებთან და ნახაზებთან.
- სკოპინგის ანგარიშში მითითებულია, რომ საწარმო განთავსებულია შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ არასასოფლო-სამეურნეო (ს/კ: 55.15.59.000.006 ფართობი: 30000 მ²) მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდის გადამოწმებით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა სს „კავკასავტომავისტრალი“. ამასთან, სააგენტოში აღნიშნულ საქმიანობაზე წარმოდგენილი სკრინინგის განცხადების მიხედვით, მიწის ნაკვეთი იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში აქვს შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალს“. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას და მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენას;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილ გზშ-ის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნეს სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული თითოეული მოთხოვნა.

გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული საკითხების გათვალისწინების შესახებ, ერთიანი ცხრილის სახით (გვერდებისა და (ქვე)თავების მითითებით).

დასკვნითი ნაწილი:

სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით, შპს „ჯორჯიან როუდ მატერიალსის“ მიერ წარმოდგენილ პროექტზე, რომელიც ეხება საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრემის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას, **სავალდებულოა გზშ-ის ანგარიში მომზადდეს** წინამდებარე სკოპინგის დასკვნით გათვალისწინებული კვლევების, მოსაპოვებელი, შესასწავლი ინფორმაციისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის მიხედვით. გზშ-ის ანგარიში შედგენილი უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოპინგის დასკვნით განსაზღვრული მითითებების სრული დაცვით.